ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

2015 წლის 22 იანვარი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 22-ე მუხლის 6-8 პუნქტების, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8, 25-ე, 37-39-ე მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №3 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს (ბსუ–ს) რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2015 წლის 22 იანვარს;

2. ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
   ა) უმაღლესი განათლება;
   ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
   გ) 5 წლის სამუშაო სტაჟი;
   დ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №4), 2015 წლის 23 თებერვლიდან 2015 წლის 6 მარტის ჩათვლით, შაბათ–კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.

4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) სამოქმედო გეგმა;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;
   დ) ავტობიოგრაფია (c.v.)

ე) უმაღლესი განათლებისა და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლები;

ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

5. ბსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 16 მარტს. რექტორის არჩევნებამდე ბსუ-ს აკადემიური საბჭო მოისმენს ბსუ-ს რექტორობის კანდიდატის სამოქმედო გეგმას.

6. ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე და ბსუ-ში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, ასევე გამოქვეყნდეს გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**